

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
2008 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ აჭარის ავტონომიური
რესპუბლიკის კანონის პროექტის**

განმარტებითი ბარათი

ავტონომიური რესპუბლიკის 2008 წლის საბიუჯეტო პოლიტიკის ძირითად ორიენტირს წარმოადგენს სოციალური მიმართულება, კერძოდ სოციალური ინფრასტრუქტურისა თუ კომუნალური პირობების გაუმჯობესება, რაც ხელს შეუწყობს როგორც საზოგადოების კეთილდღეობის ზრდას, ისე სამეწარმეო სექტორის გააქტიურებას. აქ იგულისხმება საბიუჯეტო დაფინანსებაში უშუალოდ სახელმწიფო შესყიდვების საკამოდ მაღალი წილი და ამით სამეწარმეო სექტორისადმი დაკვეთის ზრდა, ამავე დროს კერძო სექტორში ინვესტიციების გააქტიურება.

**2005-2007 წლებში ეკონომიკური განვითარების ძირითადი ტენდენციები და
პარამეტრები**

2005-2007 წლებში ავტონომიური რესპუბლიკის მაშტაბით ეკონომიკა საკმაოდ მზარდი ტემპებით ვითარდებოდა, რაზეც გავლენა მოახდინა როგორც საბიუჯეტო პოლიტიკამ, ისე რეგიონის ბიზნეს-გარემოს წარმოჩენამ. შედეგად, რეგიონის მიმართ მნიშვნელოვნად გაიზარდა როგორც ქვეყნის, ისე უცხოელი ინვესტორების დაინტერესება, ამოქმედდა ათეულობით მსხვილი საწარმო-ორგანიზაცია, კვლავაც მიმდინარეობს ინვესტიციების დაბანდება, რომელიც უახლოეს ორ-სამ წელიწადში მნიშვნელოვნად გაზრდის სამეწარმეო სექტორის გააქტიურებას, რაც კიდევ უფრო სტაბილურს და მოცულობითს გახდის საბიუჯეტო შემოსავლებს, გაზრდის დასაქმების მოცულობას და ხარისხს.

ავტონომიურ რესპუბლიკაში 2006 წლისათვის მთლიანი რეგიონალური პროდუქტის მოცულობა გაუტოლდა 1 060,1 მილიონ ლარს. მიმდინარე წლის ბოლოსათვის მისი მაჩვენებელი სავარაუდოდ მიაღწევს 1 324,0 ათას ლარს, ხოლო 2008 წლისათვის კი – 1 614,7 მილიონ ლარს. შესაბამისად, ზრდის მოცულობა შეადგენს – 2007 წელს 263,9 მილიონ ლარს, ხოლო 2008 წელს კი – 290,7 მილიონ ლარს.


აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთლიანი რეგიონალური პროდუქტი დარგობრივად
(მლნ ლარი)

№	დარგების დასახელება	2005 წ	2006 წ	2007 წ პრონგ.	2008 წ პრონგ.
---	---------------------	--------	--------	------------------	------------------

1	სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა, თევზჭერა	70,3	102,1	110,0	115,0
2	შინამეურნეობების მიერ პროდუქციის გადამუშავება	28,0	24,9	35,0	37,0
3	მრეწველობა	83,6	85,9	95,0	108,0
4	მშენებლობა	23,5	36,1	100,0	135,0
5	ვაჭრობა	76,7	104,5	130,0	175,0
6	ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	251,2	290,5	330,0	390,0
7	სახელმწიფოს მმართველობა	62,2	96,5	115,0	140,0
8	განათლება	41,2	40,6	44,0	50,0
9	ჯანმრთელობის დაცვა	25,7	48,0	56,0	60,0
10	მომსახურების სხვადასხვა სახეები	68,7	95,0	144,0	200,0
I	მთლიანი დამატებული ღირებულება	731,2	924,0	1 159,0	1 410,0
II	არაპირდაპირი გადასახადები	104,6	136,1	165,0	204,7
III	მთლიანი რეგიონალური პროდუქტი (I+II)	835,8	1 060,1	1 324,0	1 614,7

საფუძველი: საქართველოს სახელმწიფო სტატისტიკის დეპარტამენტი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთლიანი რეგიონალური პროდუქტი (მლნ ლარი)



როგორც შედეგებიდან და მოსალოდნელი პროგნოზებიდან ჩანს, რეგიონის ეკონომიკურ შედეგებში მნიშვნელოვანი წილი მოდის ტრანსპორტისა და სასაწყობო მეურნეობის დარგზე. თუმცა ასევე მაღალი მაჩვენებლებით ხასიათდება მომსახურეობის დარგიც, რომელიც თავის მხრივ მოიცავს როგორც ტურისტულ ინფრასტრუქტურას, ისე საფინანსო ხასიათის მომსახურეობას. ეკონომიკური აღმავლობის პერიოდში ტრადიციულად მაღალი წილი მოდის მშენებლობის, ვაჭრობისა და მრეწველობის დარგებზეც, რაც ასევე დამახასიათებელია ჩვენი რეგიონისთვისაც.


მთლიანი რეგიონალური პროდუქტის ზრდა და მისი მაჩვენებელი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით

N	მაჩვენებლები	ზომის ერთეული	2005 წ.	2006 წ.	2007 წ.	2008 წ.
---	--------------	---------------	---------	---------	---------	---------

1	მთლიანი რეგიონალური პროდუქტი (მრპ)	მლნ ლარი	835,8	1 060,1	1 324,0	1 614,7
		ზრდა წინა წელთან მიმართებ. (მლნ ლარი)	-	224,3	263,9	290,7
2	მოსახლეობა	ათასი კაცი	382,4	386,2	388,6	390,8
3	მრპ ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშ.	ლარი	2 185,8	2 816,3	3 408,0	4 131,8

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მთლიანი რეგიონალური პროდუქტის მოცულობა მნიშვნელოვნად იზრდება ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებითაც. ეს მაჩვენებელი 2008 წელს, 2005 წელთან მიმართებაში სავარაუდოდ გაიზრდება 1,9-ჯერ და მიაღწევს 4 131,8 ათას ლარს. აღნიშნული კი, თავის მხრივ, წარმოადგენს მოსახლეობის საშუალო კეთილდღეობის მნიშვნელოვანი ზრდის ინდიკატორს.

მთლიანი რეგიონალური პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით (მლნ ლარი)



რეგიონის ეკონომიკისათვის შედარებით სტაბილური მდგომარეობა დაიწყო 2005 წლიდან, რის შემდგომაც ეკონომიკის თითქმის ყველა დარგი აღმავლობით ვითარდება. უკვე 2006 წლიდან მნიშვნელოვნად განვითარდა მშენებლობა, ვაჭრობა, მომსახურეობა, მრეწველობა, რამაც თავის მხრივ ასევე პოზიტიურად იმოქმედა სხვა დარგების განვითარებაზეც. სავარაუდოდ შემდგომ წლებშიაც აღნიშნული დარგები იქნება დომინირებადი, რასაც უპირატესად განაპირობებს რეგიონში მაშტაბური საინვესტიციო პროგრამებისა თუ პროექტების განხორციელება. აღნიშნულის შედეგად კი, 2008 წლის ბოლოსათვის მთლიანი რეგიონალური პროდუქტის მოცულობა, 2005 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან მიმართებაში, 93,2 %-ით გაიზრდება.

მთლიანი რეგიონალური პროდუქტის მოცულობა დარგობრივად 2005 წელის საბაზისო პერიოდთან მიმართებაში (%)

№	დარგების დასახელება	2005 წ.	2006 წ.	2007 წ.	2008 წ.
---	---------------------	---------	---------	---------	---------

1	სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა, თევზჭერა	100,0	145,2	156,4	163,5
2	შინამეურნეობების მიერ პროდუქციის გადამამუშავება	100,0	88,8	125,0	132,2
3	მრეწველობა	100,0	102,6	113,6	129,1
4	მშენებლობა	100,0	153,6	425,1	573,9
5	ვაჭრობა	100,0	136,3	169,6	228,3
6	ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	100,0	115,6	131,3	155,2
7	სახელმწიფოს მმართველობა	100,0	155,1	184,9	225,1
8	განათლება	100,0	98,5	106,8	121,4
9	ჯანმრთელობის დაცვა	100,0	186,9	218,1	233,6
10	მომსახურების სხვადასხვა სახეები	100,0	138,2	209,5	291,0
I	მთლიანი დამატებული ღირებულება	100,0	126,4	158,5	192,8
II	არაპირდაპირი გადასახადები	100,0	130,1	157,7	195,7
III	მთლიანი რეგიონალური პროდუქტი (I+II)	100,0	126,8	158,4	193,2

რეგიონის 2008 წლის ეკონომიკური განვითარების ძირითადი მიმართულებები და პარამეტრები

ეკონომიკური განვითარების საფუძველს წარმოადგენს როგორც რეგიონის, ისე ქვეყნის მაშტაბით ეკონომიკის განვითარების ფაქტორები და ეკონომიკური პროცესების მართვის მექანიზმები. ამ მხრივ მნიშვნელოვანია საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ გასატარებელი ფისკალური და ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, ფასების რეგულირება და მისი სტაბილიზაცია, სოციალური, საინვესტიციო თუ საპრივატიზაციო პროგრამები, რომელიც ბუნებრივია აისახება ავტონომიური რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე. აღნიშნულს, თავის მხრივ, ემატება ის საინვესტიციო და სოციალური პროგრამები, რაც ავტონომიური რესპუბლიკისათვის პრიორიტეტულია და ფინანსდება შესაბამისი ბიუჯეტიდან, კერძოდ: გზებისა და სკოლების მშენებლობა-რემონტი, ცალკეული მუნიციპალიტეტების მიხედვით კომუნალური სისტემის გაუმჯობესა-რეაბილიტაციის პროგრამები, საპრივატიზაციო პოლიტიკა, საკურორტო ინფრასტრუქტურის განვითარებისადმი ხელშეწყობა. ყოველივე ეს კი გამოიწვევს კერძო სექტორის გააქტიურებას, ინვესტიციების მოცულობის ზრდასა და შესაბამისად სამშენებლო თუ ტურიზმთან დაკავშირებული საქმიანობების განვითარებას. აღნიშნულს ემატება ეკონომიკის ზრდის ტენდენციების შესაბამისად მოსახლეობის დასაქმებისა და შემოსავლების ზრდა, რაც თავის მხრივ დადებითად მოქმედებს თვით სამეწარმეო სექტორზე.

ეკონომიკის ზრდაზე ასევე პოზიტიურად იმოქმედებს როგორც განხორციელებული საპრივატიზაციო მოთხოვნებით აღებული ვალდებულებების შესრულება (ობიექტის ექსპლუატაციაში გაშვება, მოსახლეობის დასაქმება), ისე მოქმედი საწარმოების გაფართოება.

ავტონომიური რესპუბლიკის 2008 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობების პროგნოზი

2008 წლის შემოსულობების საპროგნოზო პარამეტრების გაანგარიშებას საფუძვლად დაედო: ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლები, რეგიონის საინვესტიციო პოლიტიკა, ქვეყნის მასშტაბით გასატარებელი ფისკალური პოლიტიკა, საპრივატიზაციო პროცესები, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ტრანსფერტის სახით მისაღები შემოსავლები.

ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ფორმირება დამოკიდებულია მის ტერიტორიაზე მობილიზებული შემოსავლების სიდიდეზე, საიდანაც ნორმატივების შესაბამისად ხდება შემოსავლების გადანაწილება სახელმწიფო, რესპუბლიკურ და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებს შორის.

ამასთან გათვალისწინებულია ის საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკა, რაც ცენტრალური ხელისუფლების მიერ სავარაუდოდ უნდა განხორციელდეს 2008 წლისათვის, კერძოდ:

– საშემოსავლო და სოციალური გადასახადების გაერთიანება ერთ საშემოსავლო გადასახადის სახეში;

– სახელმწიფო და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტებს შორის შემოსავლების განაწილების ნორმატივების ცვლილება. აღნიშნულის შედეგად საშემოსავლო გადასახადი სრულად იქნება მიმართული რესპუბლიკურ ბიუჯეტში, ხოლო მოგების გადასახადი კი 100 %-ით ჩაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში;

– პრინციპული ცვლილება გამოთანაბრებითი ტრანსფერის გაანგარიშებაში. მოქმედი წესით მის საფუძვლს წარმოადგენდა ცალკეული მუნიციპალიტეტების მიხედვით შემოსავლების გამოთანაბრების პრინციპი, ხოლო 2008 წლიდან ტრანსფერის გაანგარიშების საფუძველს წარმოადგენს ხარჯების გამოთანაბრების პოლიტიკა.


აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით ავტონომიური რესპუბლიკის 2008 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობების მოცულობა განისაზღვრა 152 824,3 ათასი ლარით, საიდანაც საგადასახადო შემოსავლებზე მოდის 79 668,0 ათასი ლარი (საერთო შემოსულობების 52,1 %), არასაგადასახადო შემოსავლებზე – 12 475,3 ათასი ლარი (საერთო შემოსულობების 8,2 %), კაპიტალურ შემოსავლებზე – 40 480,0 ათასი ლარი (საერთო შემოსულობების 26,5 %), გამოთანაბრებითი ტრანსფერის სახით მისაღებ შემოსავლებზე – 20 201,0 ათასი ლარი (საერთო შემოსულობების 13,2 %).

მთლიანი რეგიონალური პროდუქტი და საბიუჯეტო შემოსულობები

N	შემოსულობები	ზომის ერთეული	2005 წ. ფაქტი	2006 წ. ფაქტი	2007 წ. გეგმა	2008 წ. პროგნოზი
I	მთლიანი რეგიონალური პროდუქტი	მლნ ლარი	835,8	1 060,1	1 324,0	1 614,7
II	საბიუჯეტო შემოსულობები	ათასი	99 994,3	95 499,8	124 884,6	152 824,3

		ლარი				
1	საგადასახადო შემოსავლები	ათასი ლარი	31 093,5	31 950,0	53 814,0	79 668.0
2	არასაგადასახადო შემოსავლები	ათასი ლარი	4 101,9	2 207,8	14 109,6	12 475.3
3	კაპიტალური შემოსავლები	ათასი ლარი	13 912,8	33 830,1	28 120,0	40 480.0
4	ტრანსფერტი	ათასი ლარი	46 560,8	27 000,0	28 841,0	20 201.0
5	დაფინანსება ნაშთიდან	ათასი ლარი	4 325,3	494,1	0,0	0.0
6	გრანტი	ათასი ლარი	0,0	17,8	0,0	0.0

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2008 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობები წილობრივად (%)



თავის მხრივ, 2008 წლის საბიუჯეტო შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებლები 28 051,3 ათასი ლარით (ანუ 22,5 %-ით) აღემატება 2007 წლის გეგმიურ მაჩვენებელს. ზრდა დაფიქსირდა: საგადასახადო შემოსავლებში – 48,3 %-ით, კაპიტალურ შემოსავლებში კი – 44,0 %. მის პარალელურად მცირდება: არასაგადასახადო შემოსავლები – 11,5 %-ით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები ტრანსფერტის მოცულობა – 30,0 %-ით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2008 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობების ზრდა (ათასი ლარი)

	შემოსულობები	2007 წ.	2008 წ.	ზრდა	
		გეგმა	პროგნოზი	ათასი ლარი	%.
I	საგადასახადო შემოსავლები	53 714,1	79 668,0	25 953,9	48.3
1.1	მოგების გადასახადი	19 900,0		-19 900,0	-100.0
1.2	საშემოსავლო გადასახადი	27 700,0	72 000,0	44 300,0	159.9
1.3	ქონების გადასახადი	6 114,1	7 668,0	1 553,9	25.4
II	არასაგადასახადო შემოსავლები	14 109,6	12 487,0	-1 622,6	-11.5
III	კაპიტალური შემოსავლები	28 120,0	40 480,0	12 360,0	44.0
IV	ტრანსფერტი	28 841,0	20 201,0	-8 640,0	-30.0
V	სულ საბიუჯეტო შემოსულობები	124 784,7	152 836,0	28 051,3	22.5


ეკონომიკურმა განვითარებამ თავისი გავლენა მოახდინა საბიუჯეტო შემოსულობების სტრუქტურაზე, რამაც გარკვეულწილად გაზარდა ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის უპირატესად დაბალანსება საკუთარი შემოსავლებით. თუ 2005

წლისათვის ტრანსფერის წილად მოდიოდა 46,6 %, 2008 წლისათვის ბიუჯეტში მისი ხვედრითი წილი შემცირდა 13,3 %-მდე. ამის პარალელურად მნიშვნელოვნად გაიზარდა საგადასახადო შემოსავლების ხვედრითი წილი, რამაც შესაბამისი პერიოდებისათვის 31,1 %-დან მიაღწია 52,3 %.

ცალკეული შემოსავლების წილი მთლიან შემოსულობებში (%)


N	შემოსულობები	2005 წ ფაქტი	2006 წ ფაქტი	2007 წ გეგმა	2008 წ პროგნოზი
1	საბიუჯეტო შემოსულობები	100,0	100,0	100,0	100.0
2	საგადასახადო შემოსავლები	31,1	33,5	43,1	52.1
3	არასაგადასახადო შემოსავლები	4,1	2,3	11,3	8.2
4	კაპიტალური შემოსავლები	13,9	35,4	22,5	26.5
5	ტრანსფერტი	46,6	28,3	23,1	13.2
6	დაფინანსება ნაშთიდან	4,3	0,5	0,0	0.0

საბიუჯეტო შემოსულობების გეგმიური და საპროგნოზო მაჩვენებლები (მლნ ლარი)



საგადასახადო შემოსავლები. საგადასახადო შემოსავლები ეკონომიკური განვითარების ძირითადი ინდიკატორია. შემოსავლის ამ კატეგორიაში ზრდა განპირობებულია როგორც ეკონომიკის განვითარებისა და დასაქმების ზრდის ტემპებით, ისე საპრივატიზაციო პოლიტიკითა და სამეწამეო სექტორში აქტიური ინვესტიციით. საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 79 668,0 ათასი ლარით, რაც 2007 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს აღემატება 25 953,9 ათასი ლარით.

საგადასახადო შემოსავლები (ათასი ლარი)




საგადასახადო შემოსავლებიდან მნიშვნელოვანი წილი მოდის საშემოსავლო გადასახადზე, რომლის საპროგნოზო მოცულობაც განისაზღვრა 72 000,0 ათასი ლარით (საერთო შემოსულობების 47,1 %). აღნიშნული 2007 წლის გეგმიურ მაჩვენებელს აღემატება 2,6-ჯერ. ზრდა ძირითადად გამოწვეულია დასაბეგრი ბაზის სავარაუდო გაზრდითა და დაბეგვრის ახალი განაკვეთის შემოღებით.

ქონების გადასახადის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 7 668,0 ათასი ლარით, რაც 25,4 %-ით აღემატება 2007 წლის საპროგნოზო მაჩვენებელს


არასაგადასახადო შემოსავლები. 2007 წელს არასაგადასახადო შემოსავლები მნიშვნელოვნად გაიზარდა წინა წლებთან მიმართებაში. აღნიშნული უპირატესად განაპირობა შემოსავლის ამ სახეში საგადასახადო შემოსავლებიდან სათამაშო ბიზნესის გადასახადის გადატანამ, აგრეთვე მნიშვნელოვანმა საიჯარო ვალდებულებებმა და კომერციული ბანკების მხრიდან სახაზინო მომსახურებისათვის ბიუჯეტის სასრგებლოდ პროცენტის ღარიცხვამ. 2008 წლისათვის არასაგადასახადო შემოსავლების მოცულობა განისაზღვრა 12 475,3 ათასი ლარით, რაც 1 622,6 ათასი ლარით ჩამორჩება 2007 წლის გეგმიურ მაჩვენებელს.

არასაგადასახადო შემოსავლები (ათასი ლარი)




კაპიტალური შემოსავლები ძირითადად აგებულია საპრივატიზაციო პოლიტიკის განხორციელებაზე. მისი საბიუჯეტო პარამეტრის ზრდა უპირატესად უკავშირდება რეგიონში საპრივატიზაციო ობიექტზე საბაზრო ფასების ზრდით. 2008 წლისათვის კაპიტალური შემოსავლების საპროგნოზო ოდენობა განისაზღვრა 40 480,0 ათასი ლარით. იგი 2007 წლის გეგმიურ მაჩვენებელს აღემატება 12 360,0 ატასი ლარით. ამასთან, 2008 წლისათვის ავტონომიურ რესპუბლიკაში პრივატიზაციის პროცესში კვლავაც მნიშვნელოვანი აქცენტი გაკეთდება საკონკურსო პირობებით ქონების გაყიდვაზე.

კაპიტალური შემოსავლები (ათასი ლარი)



ტრანსფერი. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები ტრანსფერების მოცულობა ძირითადად კლების ტენდენციით ხასიათდება, რაც განაპირობა რესპუბლიკური ბიუჯეტის უდღეფიციტობამ, რის სედეგადაც შემცირდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები ტრანსფერის ოდენობა. 2007 წელთან მიმართებაში, 2008 წლისათვის ტრანსფერის მოცულობა შემცირდა 8 640,0 ათასი ლარით და მისი საგარაუდო მოცულობა განისაზღვრა 20 201,0 ათასი ლარით.

ტრანსფერი (ათასი ლარი)



ადგილობრივი ბიუჯეტები

აგტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების საბიუჯეტო შემოსულობების საორიენტაციო მოცულობა შეადგენს 49 696,0 ათას ლარს, საიდანაც საგადასახადო შემოსავლებზე მოდის 7 688,0 ათასი ლარი, არასაგადასახადო შემოსავლებზე – 9 327,0 ათასი ლარი, კაპიტალურ შემოსავლებზე – 12 500,0 ათასი ლარი, გამთთანაბრებით ტრანსფერზე – 20 201,0 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტების შემოსავლები ცალკეული სახეების მიხედვით (ათასი ლარი)

№	შემოსულობები	მაჩვენებლები	სულ ადგილობრივი ბიუჯეტები
I	სულ საგადასახადო შემოსავლები	2007 გეგმა	6 114,1
		2008 პროგნ.	7 668,0
		გადახრა	1 553,9
		ზრდა %	25,4
II	არასაგადასახადო შემოსავლები	2007 გეგმა	8 364,1
		2008 პროგნ.	9 327,0
		გადახრა	962,9
		ზრდა %	11,5
III	კაპიტალური შემოსავლები	2007 გეგმა	4 220,0
		2008 პროგნ.	12 500,0
		გადახრა	8 280,0
		ზრდა %	196,2
IV	შემოსავლები გამთთანაბრებითი ტრანსფერებიდან	2007 გეგმა	4 555,0
		2008 პროგნ.	20 201,0
		გადახრა	15 646,0
		ზრდა %	343,5

VI	სულ შემოსულობები	2007 გეგმა	23 253,2
		2008 პროგნ.	49 696,0
		გადახრა	26 442,8
		ზრდა %	113,7

2008 წლის ბიუჯეტის შემოსულობების პროგნოზი ცალკეული მუნიციპალიტეტების მიხედვით (ათასი ლარი)

დასახელება	სულ	საგადასახადო შემოსავლები	არასაგადასახადო შემოსავლები	კაპიტალური შემოსავლები	ტრანსფერი რესპუბლიკური ბიუჯეტიდან	გამოთანაბრებითი ტრანსფერი
ბათუმი	59 876,0	6 500,0	8 000,0	12 500,0	21 878,0	10 998,0
ქობულეთი	8 276,0	530,0	530,0	–	4 783,0	2 433,0
ხელვაჩაური	7 357,9	528,0	600,0	–	3 810,9	2 419,0
ქედა	3 183,7	60,0	85,0	–	1 839,7	1 199,0
შუახევი	3 316,3	25,0	45,0	–	1 760,3	1 486,0
ხულო	3 560,9	25,0	67,0	–	1 802,9	1 666,0
სულ	85 570,8	7 668,0	9 327,0	12 500,0	35 874,8	20 201,0

ავტონომიური რესპუბლიკის 2008 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობები

რესპუბლიკური ბიუჯეტის 2008 წლის შემოსავლები განისაზღვრა 103 128,3 ათასი ლარით, საიდანაც საშემოსავლო გადასახადზე მოდის 72 000,0 ათასი ლარი, არასაგადასახადო შემოსავლებზე – 3 148,3 ათასი ლარი, კაპიტალურ შემოსავლებზე კი – 27 980,0 ათასი ლარი.

2008 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლებში მნიშვნელოვანი ფაქტორია ის, რომ იგი უდევციტოა. ამასთან იგი 2007 წლის გეგმიურ მონაცემებთან მიმართებაში ზრდამ შეადგინა 3 367,8 ათასი ლარი ანუ 3,4 %.

რესპუბლიკური ბიუჯეტის 2008 წლის შემოსავლები (ათასი ლარი)

შემოსულობები	2007 წ.	2008 წ.	ზრდა	
	გეგმა	პროგნოზი	ათასი ლარი	%.
საშემოსავლო გადასახადი	27 700.0	72 000.0	44 300.0	159.9
მოგების გადასახადი	19 960.0	0.0	-19 960.0	-100.0
სულ საგადასახადო შემოსავლები	47 660.0	72 000.0	24 340.0	51.1
არასაგადასახადო შემოსავლები	5 745.5	3 148.3	-2 597.2	-45.2
კაპიტალური შემოსავლები	23 900.0	27 980.0	4 080.0	17.1
სულ შემოსავლები	77 305.5	103 128.3	25 822.8	33.4
ტრანსფერი	22 455.0	0	-22 455.0	-100.0
სულ საბიუჯეტო შემოსულობები	99 760.5	103 128.3	3 367.8	3.4

ცალკეული შემოსავლების მიხედვით, 2007 წლეთან მიმართებაში, ზრდის ტენდენცია შემდეგია: საგადასახადო შემოსავლები გაიზარდა 24 340,0 ათასი ლარით

(ზრდა 51,1 %), არასაგადასახადო შემოსავლები შემცირდა 2 597,2 ათასი ლარით (შემცირება 45,2 %), კაპიტალური შემოსავლები გაიზარდა 4 080,0 ათასი ლარით (ზრდა 17,1 %).

2008 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტით არასაგადასახადო შემოსავლების მოცულობის შემცირება გამოწვეულია ობიექტური ფაქტორებით. აღნიშნული კატეგორია აერთიანებს ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებულ შემოსავლებს, რომელთაც ხშირ შემთხვევაში ახასიათებს არასტაბილური დინამიკა და ერთჯერადობა. მდენად, ამ მიმართულებით შემოსავლები განისაზღვრა შედარებით დინამიური მონაცემების მიხედვით, რომელთა კონკრეტული პარამეტრებიც შემდეგია:

რესპუბლიკური ბიუჯეტის 2008 წლის არასაგადასახადო შემოსავლების დინამიკა (ათასი ლარი)

N	დასახელება	2007 წ. გეგმა	2008 წ. პროგნოზი	ზრდა (ათასი ლარი)	ზრდა (%)
1	არასაგადასახადო შემოსავლები მათ შორის	5 745.50	3 148.30	-2 597.20	- 45.20
2	სანებართვო მოსაკრებლები	105	150	45.00	42.86
3	სატენდერო მოსაკრებლები	37	20	- 17.00	- 45.95
4	შემოსავლები სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების მართვაში გადაცემიდან	3 215.00		-3 215.00	- 100.00
5	შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	185	140	- 45.00	- 24.32
6	სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების მოგებიდან მიღებული დივიდენდები	45	30	- 15.00	- 33.33
7	სესხის (კრედიტის), დეპოზიტის, ვექსილისა და სხვა სახის პროცენტი (სარგებელი)	915	750.3	- 164.70	- 21.9
8	შემოსავლები ჯარიმებიდან და საურავებიდან	100	100	0.00	0.00
9	შემოსავლები კერძო საწარმოებზე გაცემული სესხების დაბრუნებიდან	100	1 958.00	1 858.00	1 858.00
10	სხვა არასაგადასახადო შემოსავლები	1 043.5		-1 043.5	- 100.00

რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელები


აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2008 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯების დაგეგმვის დროს ძირითადი პრიორიტეტია ბიუჯეტის გამჭვირვალობის ზრდა, რამაც თავის მხრივ ხელი უნდა შეუწყოს საბიუჯეტო ურთიერთობების ეფექტიანობის ამაღლებას.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2008 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გასაწევი ხარჯების საერთო მოცულობა განისაზღვრა 103 128,3

ათასი ლარით, რაც 29 588,3 ათასი ლარით მეტია 2007 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით.


აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2008 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტში წინა წლის ბიუჯეტთან შედარებით გაზრდილია სოციალური პრიორიტეტები – ჯანმრთელობის დაცვა და განათლება, ასევე ზრდაა საგზაო სატრანსპორტო სისტემებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარების ხარჯებზე, რაც წინაპირობაა რეგიონის ინფრასტრუქტურის კიდევ უფრო განვითარებისათვის.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2008 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტი ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით



ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით 2008 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტი გადასახდელების კუთხით შემდეგნაირად გადანაწილდა: მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება 10 454,7 ათასი ლარი, მივლინებები – 459,0 ათასი ლარი, სხვა საქონელი და მომსახურება – 12 452,9 ათასი ლარი, სუბსიდიები და მიმდინარე ტრანსფერები – 50 888,8 ათასი ლარი (მათ შორის ადგილობრივ თვითმართველ ერთეულებზე გადასაცემი ტრანსფერი 35 874,8) და კაპიტალური ხარჯები 29 173,0 ათასი ლარი.

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2008 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტი
ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით**



ფუნქციონალურ ჭრილში ავტონომიური რესპუბლიკის 2008 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვრა შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

1. აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა 9 489,6 ათასი ლარი;
2. ადგილობრივ თვითმართველ ერთეულებზე გადასაცემი ფინანსური დახმარების სახით – 35 874,8 ათასი ლარი;
3. სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა – 1 958,2 ათასი ლარი;
4. ტრანსპორტი – 14 986,2 ათასი ლარი;
5. ტურიზმის განვითარებისათვის, ადმინისტრაციული ხარჯების ჩათვლით 2008 წლის დაფინანსება შეადგენს – 1 453,8 ათას ლარს;
6. გარემოს დაცვა – 1 661,8 ათასი ლარი;


7. ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა – 6 010,1 ათასი ლარი;

8. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ხარჯები პროგრამული დაფინანსების ჩათვლით – 20 464,5 ათასი ლარი;

9. კულტურის სფეროს დაფინანსება შეადგენს – 4 569,5 ათას ლარს;

10. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციულ და პროგრამულ ხარჯებზე გათვალისწინებულია 4 318,5 ათასი ლარი;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2008 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული მიზნობრივი პროგრამები მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით



მხარჯავი დაწესებულებებისათვის მიზნობრივი პროგრამები შემდეგნაირად გადანაწილდა:

განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიზნობრივი პროგრამებისათვის განისაზღვრა 17 251,3 ათასი ლარი, მისი ძირითადი მიზანია საჯარო სკოლებისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, მოსახლეობისათვის სოციალური მხარდაჭერა (სასკოლო ფორმების, სახელმძღვანელოების შექმნა), სპორტულ და სახელოვნებო დაწესებულებებისათვის ინვენტარის შექმნა, აგრეთვე ისტორიული ძეგლების რესტავრაცია და ახალგაზრდა სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლება.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის, პროფილაქტიკური და ექიმთა უწყვეტი სამედიცინო განათლების, სოციალური და საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიზნობრივი პროგრამებისათვის განისაზღვრა 3 360,8 ათასი ლარი, რომლის მიზანია ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის სტაციონარული და ამბულატორიული სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესება და ხელმისაწვდომობა, ზოგიერთი კატეგორიის მოქალაქეებზე და ოჯახებზე სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მხარდაჭერის ღონისძიებები, პირველადი ჯანდაცვის ქსელის სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება, პროფესიული ცოდნისა და უნარჩვევების გაუმჯობესება, მაღალმთიანი რაიონებისათვის ახალგაზრდა ექიმ-სპეციალისტთა მომზადება დეფიციტურ სპეციალობებში, ინფექციურ და პარაზიტულ დაავადებათა აღმოცენებისა და გავრცელების პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარება, რეგიონში ეპიდკეთილსაიმედო სიტუაციის შენარჩუნება, აგრეთვე სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიზნობრივი პროგრამებისათვის განისაზღვრა 675,0 ათასი ლარი, მისი ძირითადი მიზანია ადგილობრივ მოსახლეობასა და ფერმერებისათვის დახმარების გაწევა და ეროზიული პროცესების შეზღუდვა, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებელთა ლოკალიზება, წყლით გადაცემადი ინფექციური დაავადებების შემცირება, ეპიდაფეთქებების თავიდან აცილება და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა, მოსახლეობის ხარისხიანი და უვნებელი სასმელი წყლის მიწოდების უზრუნველყოფა, აგრეთვე რეგიონის ზოლანთროპონოზიური დაავადებების მიმართ კეთილსაიმედო ზონად შენარჩუნება.

დასასრულს, შეიძლება ითქვას, რომ 2008 წლის საბიუჯეტო პერიოდისათვის გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი პოზიტიური მომენტები:

- გაიზარდა საბიუჯეტო შემოსავლები 22,5 %-ით;
- ეკონომიკის ზრდა შეადგენს 21,9 %;
- კიდევ უფრო გაიზარდა ადგილობრივი ბიუჯეტებისადმი ფინანსური მხარდაჭერა, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საზოგადოების კეთილდღეობისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის სისტემას.

ამდენად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2008 წლის საბიუჯეტო პოლიტიკა კვლავაც იმ აღმშენებლობითი კურსის გაგრძელებაა, რაც ბოლო წლებში ჩამოყალიბდა ჩვენს რეგიონში და რომელმაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა როგორც სამეწარმეო სფერო, ისე საზოგადოების კეთილდღეობა.